

თანამედროვე კინო-ხელოვნების სკოლა თბილისში

ელენე ხარაზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მათიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ხარაზიშვილი, 2020

სარჩევი

განაცხადი.....	i
აბსტრაქტი.....	iii
Abstract.....	iv
შესავალი.....	1
1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	3
1.1 კინო-ხელოვნების სკოლების მნიშვნელოვნება	3
1.2 კინო-ხელოვნების სკოლების არქიტექტურული მახასიათებლების განსაზღვრა.....	6
2. მეთოდოლოგია	10
3. შედეგების მიმოხილვა და დასკვნა	11
ბიბლიოგრაფია	14

აბსტრაქტი

კინო – ხელოვნების, თავისუფალი აზრის, კულტურის, ისტორიისა და ადამიანის წარმოსახვის მნიშვნელოვანი გამოხატვის ფორმაა, რომელსაც რთული და მრავალფეროვანი სპეციფიკა აქვს. ამ სპეციფიკის გარეშე კინო ვერ მეტყველებს, ვერ გამოხატავს, ვერ შთააგონებს და შესაბამისად ვერც იარსებებს, რადგან შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკის გარეშე, განწირულია.

ნაშრომში გაანალიზებული სამეცნიერო კვლევები, არქიტექტურული ანალოგიები და ინტერვიუები, ემსახურება ისეთი კინო–ხელოვნების სასწავლებლის შექმნას თბილისში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ყველა საჭირო სივრცითა და ფუნქციური ზონით. ლიტერატურის განხილვის შედეგად განისაზღვრა კინო–ხელოვნების სკოლების მნიშვნელობა და აქტუალობა. სკოლების არქიტექტურული ანალიზი ნაწილობრივ ადგენს თუ რა ფუნქციურ ზონებს უნდა მოიცავდეს სასწავლებელი და რა არის საჭირო სრულფასოვანი და კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

მეთოდოლოგიის ნაწილში წარმოდგენილი ინტერვიუები და საპროექტო ტერიტორიის კვლევა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს კინო–სკოლის კონცეფციაზე მუშაობის პროცესში. მათზე დაყრნობით განისაზღვრა შენობის ორიენტაცია, საფეხმავლო და საგზაო კავშირების, ასევე სარეკრეაციო ზონის, როგორც სასწავლებლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის მნიშვნელოვნება.

ქართულმა კინომ, არაერთხელ დაამტკიცა თავისი მნიშვნელობა საქართველოს კულტურულ და ისტორიულ ცხოვრებაში. დროა თანამედროვე კინოს ახალ გამოწვევებსაც ასეთივე წარმატებით უპასუხოს, კინო–ხელოვნების სასწავლებელი იქნება გზა ახალი თავგადასავლებისკენ კინოს სამყაროში.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: კინო–ხელოვნება, სასწავლებელი, არქიტექტურა, სასწავლო გარემო, ქართული კინო

Abstract

Film is an important form of expression of art, free opinion, culture, history and the human imagination which has its specificity. Without this specificity film cannot speak, express, inspire and therefore cannot exist because without proper knowledge and practice, film is doomed.

In the paper are analyzed the scientific researches, architectural analogies and interviews about film art school in Tbilisi. This school will be provided with all the necessary spaces and functional zones. As a result of the discussion of literature were determined the importance and relevance of film art schools. The architectural analysis of the schools determines what functional zones the school should include and what is needed to create a full-fledged and comfortable learning environment.

Interviews in the methodology section and at the same time project area research play an important role in the working process. The orientation of the building, road connections and importance of recreation area were determined based on them.

Georgian film has repeatedly proved its importance in the cultural and historical life of Georgia. It is time to respond to the new challenges of modern films with the same success. The film art school will be the way to new adventures in the world in cinema.

Key words: Film, Art, School, Architecture, school environment, Georgian film